შაბათი 1918 წ. მარტის, 10—(22) № 46

წელიწადი მეორე

შაბათი 1918 წ. მარტის, 10—(22) № 46

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნ... ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч. ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## განცხადება.

**ქუთ. ქალაქის სასურსათო გამგეობა** საყოველთაოთ აცხადებს, რომ **თებერვლის ულუფა** შაქრის გაყიდვა ქალაქის ყველა კოოპერაციაში დასრულდება **მარტის 10-ს,** ხოლო მარტის 11-დან **აწეულ ფასად** გაიყიდება **მარტის ულუფა.**

3—3

**მროვნულ დემოკრატიული პარტიის ქალების საყურადღებოდ.**

შაბათს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე, წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში, ტრიფონ ჯაფარიძე წაიკითხავს ლექციას. აღნიშნულ პარტიის ქალებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

## ბორჯომის წყალი

ძმ. ჟორჟოლაძეების სავაჭრო მაღაზიამ მიიღო დიდძალი საუკეთესო ღირსების **ბორჯომის წყალი.** (როგორც პატარა ისე დიდი ბოთლებიც. 3—1

## ვისი ვიქნებით?

საერთაშორისო პოლიტიკა მეტათ გართულდა. ომი თავდება, მაგრამ ბოლო ძლიერ გამოურკვეველია და ყველა ჩაფიქრებულია. საზოგადოებაში დიდი მითქმამოთქმაა, ზოგი ზავზე ლაპარაკობს და იმედებით გულს იკეთებს, ზოგი მობილიზაციაზე ფიქრობს და ქართული ჯარის საშვალებით სამშობლოს დაცვას ელის; ზოგი თათრების მეზობლურ განწყობილებაზე ემყარება და ზოგიც გერმანელების განათლების მოიმედეა. მაგრამ უფრო სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, რომ **უმეტესობას კიდევ სხვისი იმედი უფრო აქვს ვინემ თავის** თავის. ეს მოვლენა სამწუხაროა, მაგრამ ადვილი გასაგები კი არის. სხვის კალთის ქვეშ ყოფნას დავეჩვიეთ, თავისუფლება მოულოდნელათ მოგვადგა კარზე, საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის მომზადებული არა ვართ, შინაური საქმეები მეტათ აგვენგვრა და ახალი წეს წყობილების მაგიერ რევოლუციამ სრული ანარქია გვიძღვნა—ასეთ პირობებში შესაძლებელია კაცს შინ იმედი დაეკარგოს და ხსნის სახსარი გარეთ ეძიოს. რამდენათ საბუთიანი და მოსაწონია ეს გზა—ეს სხვა კითხვაა, მაგრამ სულიერი განწყობილება კი ასეთია. ამიტომაც ჩვენს გარშემო დიდი მითქმამოთქმაა ატეხილი და ერთი მეორეს ეკითხება: „ვისი ვიქნებით? ვის უნდა დაუკრათ თავიო?

ეს კითხვები მით უფრო სამართლიანია, რომ არავისთვის საიდუმლო არ არის დიდი სახელმწიფოების სურვილი, პატარა ერები დაიმორჩილონ, ყველა პატარა ერებს დიდი ერები ეპოტინებიან გით უმეტეს ქართველებს, რომელთა სამშობლო—კეკლუცი საქართველო, თანაც მდიდარი და მდებარეობით ხელსაყრელი, ყველასათვის მეტათ სასურველია. მთელი ჩვენი ისტორია ცხადი მოწმეა, რომ ყოველმხრივ მუდამ მტერი შემოგვჩერებოდა და ცდილობდა როგორმე ხელში ჩავეგდეთ. დღესაც ასეთი მდგომარეობა გვეჩვენება და ვფიქრობთ, რუსეთს ჩვენი გაშვება არ უნდა, ოსმალეთი ჩვენ გვეპოტინება, გერმანეთი ჩვენს თავს სხვას არ მისცემს, ინგლისი ჩვენს ქვეყანას სხვას არ შეარჩენს, საფრანგეთი ჩვენს თავს არავის დაუთმობს და ასე ყველასათვის სასურველ და საცილო საგნათ გადაქცეულვართ.

მართლაც ეჭვს გარეშეა, რომ ყველას საქართველოს ხელში ჩაგდება უნდა, ყველას თავისთვის დიდათ სასარგებლოთ მიაჩნია საქართველოს დამორჩილება და თავის სახელმწიფოს შემოხაზულებაში შეტანა, მაგმამ ამაში ყველა ძაან შემცდარია.

მართალია, საქართველო ყველას ძაან უნდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ **საქართველოს კარგათ ვერ ნცნობენ** ეს იმიტომ რომ **ქართველებთან არავინ ძაან დახლოვებული არ არის.**

ვინც საქართველოს ძაან დაუახლოვდება და ქართველებს ყოველმხრივ გაიცნობს, ის ქართველების დამორჩილებას **აღარ ისურვებს,** ის საქართველოსთვის სულ სხვა ერთგულია და ვისაც თავისი სახელმწიფოს არევდარევა და განიავება არ უნდა, ის არასოდეს ქართველების დამორჩილებას არ განიზრახავს. ამას გვიმტკიცებს წარსული და ამასვე გვიკარნახებს მომავალი.

აი რატომ:

სპარსეთი საქართველოსთან ბრძოლამ ისე დაასუსტა, რომ სასიცოცხლოთ, წელი ველარ წამოილო და დღესაც სულსა ლაფავს. რუსეთი დიდი იმედებით შემოიჭრა საქართველოში და ეგონა სულ მოკლე დროში ორივე ფეხებს შუა აზიაში ჩავდგამო. რუსეთს ეგონა, რომ რაღა კავკასიონის ქედს გადავაბიჯე, ერთ მუჭა ხალხს უცებ გადავაგვარებ, რუსეთსა და აზიას შორის შეურყეველ ხიდს გავსდებ და ბატონ პატრონიც მე ვიქნებიო. ამას ფიქრობდა რუსეთი და ყოველი მოსაზრება სტრატეგიული, ეკონომიური და კულტურული ამას უდასტურებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რუსეთის პოლიტიკა საპტიკათ დაიმსხვრა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან **რუსეთმა არ იცოდა** საქართველოსი **არც გეოგრაფია და არც ეთნოგრაფია.** ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ რუსეთის პოლიტიკაში სულ სხვა სული შეიტანეს, რუსეთის სუსტი კულტურა არ შეითვისეს, უკულმართ რეჟიმს ბრძოლით გაუმასპინძლდენ და ამას ბოლოს რუსეთის დაღუპა მოყვა. რუსეთის უხეში პოლიტიკა ღმერთმაც იწყინა და ადამიანმაც დაგმო. რუსეთს ათასწლოთ ერჩია კავკასიონის ქედზე ფეხიც არ გადმოედგა.

რა უნდა ვსთქვათ დღევანდელ ოსმალეთის ორიენტაციაზე? ოსმალეთის მფარველობა (პროტექტორატი) განა რეალურათ შესაძლებელია? არავითარი ნათესაობა სისხლით, ხორცით, სარწმუნოებით ზნე ჩვეულობით, აგებულობით კულტურით, ფსიხიკით და რითაც გნებავსთ აიღეთ, ჩვენ მათთან არა გვაქვს და ისტორიულათ კი მოშორებულიც ვართ. ჩვენი შეერთებით და ჩვენი თავის მფარველობაში შეყვანით ოსმალეთი არა თუ ვერაფერს მოიგებს და თავის სახელმწიფოს სარგებლობას ვერ მოუტანს, პირიქით დიდ საფრთხეს მოუმზადებს. არავითარი გავლენა ოსმალეთს ჩვენში არ ექნება და ძალაზე დამყარებული **უფლება,** ადრე თუ გვიან, უეჭველათ დაიმსხვრევა.

პირიქით, ჩვენ ისეთ მიმდინარეობას შევიტანთ ოსმალეთის ცხოვრებაში, რომ სულ ცოტა ხანში ძირიან-ფესვიანათ ავანგრევთ იქაობას.

ჩვენებური პოლიტიკური და ეკონომიური იდეალები ოსმალეთის ჩარჩოებში არ მოლაგდება და დიდი შინაური აურზაური აუტყდება.

ოსმალეთი, თუ თავისი ერთგულია, და მას რევოლუცია ერ ენატრება, ჩვენსკენ ხელს ნუ წამოიწვდის და თვის სამძღვრებში გაჩერება არჩიოს.

ინგლისიც ძლიერ შემოჩენილია და ცდილობს საქმე ისე მოაწყოს, რომ გერმანიას არ ერგოს ჩვენი პატრონობა, მეზობლურათ გვექცევა და ვითომ გვაიმედებს. ესეც დიდი ფარისევლებაა. ჩვენთვის არც ერთი არ ზრუნავს, „ნათქვამია, ბუზი სუყველა ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო".

იმ დიად სახელმწიფოებსაც ჩვენი დაპყრობა უნდათ, მაგრამ დიდ ხეირს ვერც ისინი ნახვენ ჩვენზე გაბატონებით. ყველას აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, მაგრამ ამ ქვეყანაში ისეთი ხალხი ცხოვრობს, რომელსაც ანგარიში ყველამ უნდა გაუწიოს. ჩვენში ისეთი ეთნოგრაფიული ატმოსფერა სუფევს, რომ შორიდან ჩვენი გაცნობა და ჩვენი შეფასება შეუძლებელია იმისთვისაც კი, ვისაც თავი მაღალი კულტურით მოაქვს.

ჩვენთან მეზობლობა შეიძლება, ჩვენთან ნესაზღვრე არ წააგებს, ჩვენთან კავშირი ყოველ მხრივ მოსახერხებელია, მაგრამ **უფროსობა და ბატონობა ჩვენში არავის არ გამოადგება და არც არავის შერჩება.** აქ ისეთი თავისებური განწყობილება არსებობს, რომ უფროსობა და ბატონობა არა თუ სასარგებლო, სახიფათოც კი არის. პირადი სარგებლობისათვის აქ შემოსული უფრო ხშირათ ნაზარალევი წავა...

ამიტომ მე თუ მკითხავთ, ვისი ვიქნებითო, გეტყვით: **ჩვენი ვიქნებით,** სხვამაც რომ მიგვისაკუთროს, მაინც **ჩვენივე ვიქნებით.** ვისი ორიენტაციაც უნდა იქნეს და ვისი პროტექტორატიც უნდა გამოცხადდეს, ჩვენ მაინც **ქართული** ორიენტაცია გვექნება. ვინც მეცხრამეტე საუკუნეში გადურჩა მონობას, ის მეოცეში მონათ აღარ იქცევა. ეს არის ისტორიის განჩინება და ვინც არ დაიჯერებს, ბოლოს ინანებს, როგორც რუსეთი. **რასაც ისტორია ბრძანებს, იმას პოლიტიკა ვერ შეცვლის. ისტორია** კი ჩვენ **დამოუკიდებლობას გვაკუთნებს,** ამიტომ ვინც უნდა მიგვისაკუთროს **მაინც ჩვენივე ვიქნებით.**

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## მიწის საკითხი.

აგრარულ კომისიას წარუდგენია ამიერკავკასიის სეიმისათვის განსახილველად შემდეგი დებულებანი:

1) ყველა მემამულეს ჩამოერთმევა უსასყიდლოდ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მიწები და გადაეცემა საადგილმამულო კომიტეტებს.

2) მემამულეებს დაუტოვებენ:

ა) იქ, სადაც ძვირფასი კულტურის მეურნეობას აწარმოებენ, შვიდ დესეტინას.

ბ) იქ, სადაც მარტო პურსა სთესენ, თუთხმეტ დესეტინას.

გ) აქ, სადაც ხვადაგის მოშენებას მისდევენ, ორმოც დესეტინას.

იმავე დროს საადგილმამულო კომიტეტებს ეძლევათ უფლება გაადიდონ დატოვებული მიწების ზომა; პირველი კატეგორიის მიწებისა ათ დესეტინამდის, მეორე კატეგორიის—ოც დესეტინამდის და მესამე კატეგორიის ორმოცდაათ დესეტინამდის.

საადგილმამულო კომიტეტების ხელში უნდა გადავიდეს აგრეთვე: სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწები. ამით ამოიწურება ხსენებული კომისიის კანონმდებლობითი შემოქმედება!

მაგრამ, როგორც მკითხველი ხედავს, ეს კანონპროექტი მეტად ბუნდოვანია, გამოურკვეველია და, მაშასადამე, მისი განხორციელება, უეჭველია, საშინელ მოუწესრიგებლობასა და ანარქიას წარმოშობს.

კანონპროექტი არაფერს გვეუბნება, ჯერ ერთი, იმის შესახებ, რჩება თუ არა კერძო საკუთრება მამულზე? შეუძლია თუ არა მემამულეს გაყიდოს თავისუფლად თავისი ან იყიდოს სხვისი მიწები, რასაკვირველია, დაკანონებულ ზომამდის? უეჭველია კი, რომ, თავისუფალი ყიდვა გაყიდვა თუ მოისპობა, ეს საშინელ უკმაყოფილებას გამოიწვევს, ვინაიდან ამგვარი აღკრძალვა ჩვენებურს სამიწისმოქმედო პირობებს სრულიად არ შესაბამებზ.

მეორე, კანონპროექტი არაფერს ამბობს არც იმის შესახებ, როგორ უნდა მოიხმარონ ჩამორთმეული მიწები საადგილმამულო კომიტეტებმა? სახაზინოდ შეირიცხებიან თუ არა ხსენებული მიწები? და თუ სახაზინოდ შეირიცხებიან მაშ რისთვიღა უნდა გადავიდენ სახაზინო მიწები საადგილმამულო კომიტეტების ხე-

ლში? როგორ (იჯ.-რა) უნდა იხადონ ჩამორთმეულული მიწების მოიჯარადრეებმა? ამ იჯარამ თუ არ იკმარა, ვინ უნდა გაისტუმროს სადგილმამულო კომიტეტების წევრების ჯამაგირები? ხაზინამ? მაგრამ რას მოიგებს მაშინ ხაზინა?

მეორე: როგორც ვიცით, რაც კარგი მიწებია, ბანკებშია დაგირავებული, ბანკები კი საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელშია. უნდა იხადოს თუ არა ჩამორთმეული მიწების მოიჯარადემ ბანკის ვალი? და, თუ მან ეს ვალი ვერ გაისტუმრა, ვინ უნდა უზღოს ზარალი? სადგილმამულო კომიტეტებმა? ან იქნება ბანკის ვალების გაუქმებას აპირობენ?! მაშინ ხომ ერთი მხრით საქართველოს ეროვნული საბჭო გაკოტრდება და მეორე მხრით საშინელი სავაჭრო და სამრეწველო კრიზისი ჩამოვარდება!

მეოთხე: სადაც ძვირფასი კულტურის მეურნეობას აწარმოებენ, იქ მემამულეს მხოლოდ შვიდ დესეტინას უტოვებენ! მაგრამ ჩვენში ისეთი კუთხე არ მოიპოება, რომ გერმანიისებური ინტენსიური სამეურნეო კულტურა სუფევდეს. პირიქით, მეურნეობა ყველგან შერეულია, ე. ი. თვითეული მოსახლე ერთსადაიმავე დროს ბაღვენახებსაც აშენებს და ხორბალსაცა სთესავს და უპირატესობა სწორეთ სახორბლეულო მეურნეობას ეკუთვნის. მაშასადამე, თვითო მოსახლეს რომ მხოლოდ შვიდ-შვიდი დესეტინა დაუტოვონ და მეტის შეძენის უფლება არავის არ მისცენ, ეს საყოველთაო სამეურნეო ჩამორჩენისა და კოტრობის დაკანონება იქნება!

მეხუთე: ვთქვათ, მემამულეს ორმოცი დესეტინა ვენახი აქვს. ჩამოართმევენ მას ოც დესეტინაზე ზედმეტს? მაშინ რა-ღა უყოს მან თავის სარდაფს? რა მოუვა მის გაუმჯობესებულ მეღვინეობას?! ამას გარდა, მას თუ მარტო ოც დესეტინა ვენახს დაუტოვებენ და სახნავ-სათესს, სათიბსა და ტყეს მთლად ჩამოართმევენ, ხომ აღარ ეყოლება აღარც ხარი და აღარც შინაური ხვადაგი და აღარ ექნება აღარც ლობე და აღარ სარი, აღარც შეშა და აღარც ფიცარი! და მისი მოსახლეობა ხომ დაინგრევა!

მაშასადამე ხსენებული კანონ-პროექტი დაანგრევს გაუმჯობესებულ სამეურნეო მოსახლეობათა და, მაშასადამე, ხელს შეუშლის საზოგადოდ სამეურნეო კულტურის განვითარებას.

მეექვსე: მემამულეს რომ მიწებს უსასყიდლოდ ჩამოართმევენ, ვინ გადაიხდის მის კერძო ვალებს? დიდ მემამულეს ხომ დიდი კერძო ვალებიც აქვს? და ექნება თუ არა მის კრედიტორს (მსესხებელს) უფლება აუწეროს ის შვიდი თუ ათი დესეტინა, რასაც მოვალეს დაუტოვებენ?! მაგრამ მაშინ ხომ მემამულე ბოგანოდ გადიქცევა? აქვს კი რესპუბლიკას უფლება ერთი მოქალაქის გაუბედურებაზე სხვათა ბედნიერება ააშენოს?! გვეტყვიან, ისტორიული უსამართლოებაა, როცა ერთს ბევრი მიწა აქვს, სხვას კი ცოტა. მაგრამ, ჯერ ერთი, ისტორიულ უსამართლოებაში მარტო მემამულეთა წინაპრებს არ ედვათ წილი და, მეორე, ხსენებული კანონი კიდევ ახალს, არა ნაკლებს უსამართლოებას წარმოშობს!

დასასრულ კიდევ განვიმეორებ: ამიერ-კავკასიის სეიმის საქმე არ არის მიწის საკითხის გადაჭრა: ეს თვითეული ერის დამფუძნებელი კრების საქმეა და მაშასადამე მიწის საკითხი საქართველოში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს!

ამგვარად ხსენებული სამიწო კონონ-პროექტი კრიტიკის სუბუქ შეხებასაც კი ვერ უძლებს.

ვასილ წერეთელი.

## მომენტისათვის.

ერევნისა და განჯის ამბები საქართველოსაც ესტუმრა. მთელი ახალციხის მაზრა თოფის წამლით იყო მოფენტული და საკმარისი იყო ერთ ადგილას ცეცხლის წაკიდება, რომ მთელს მაზრას განმანადგურებელი ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედებოდა. დღეს საშინელი ცეცხლი უკვე სინამდვილეა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, რომ ახალციხეში თათრებთან ბრძოლა უკვე გამართულა და კომისარს ზეკარის გამაგრებას სთხოვენ.

ეს მხოლოდ ერთი პაწია ეპიზოდია დიდი დრამისა.

რა არის მიზეზი, იკითხავთ. აქ, ეჭვს გარეშე, პროვოკაცია დიდ როლს თამაშობს, მაგრამ პროვოკაციასაც რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს. ნურას ვიტყვით საერთო ალრევაზედ. მთავარი ყურადღება ომისა და ზავის კითხვას და ეროვნულ შეურიგებლობას უნდა მივაკუთვნოთ. ეს ორი კითხვა ისეთნაირად გადაკვანძულია ერთი მეორეზე, რომ შეუძლებელია იმსჯელო ერთ კითხვაზე ისე, რომ მეორე კითხვის მთავარი ძაფი არ ნახო შიგ ჩაქსოვილი. ძველი ისტორიული და რელიგიური შეურიგებლობანიც რომ იქით გაუშვათ სომეხ-თათართა ურთიერთობაში, დღევანდელი წყეული ორიენტაციის კითხვაც ფართო გასაქანს აძლევს ამ ორ ეროვნებათა შუღლსა და მტრობას. სომხები დღესაც ვერ გამორკვეულან თავის ამა თუ იმ ძლიერ სახელმწიფოს „სიმპატიებში“. მტკიცება არა სჭირია იმას, რომ ოსმალეთის ორიენტაციას სომხები ვერ გაიზიარებენ. რუსეთი ხომ არ არსებობს, როგორც ფიზიკური ძალა, რომლის იმედის ქონა შეიძლებოდეს და მოკავშირეთა ორიენტაციაც ხომ ენაზე ღა შერჩათ სომხებს, რადგან უკანასკნელ ცნობების მიხედვით, ბაღდადიდან ინგლისელები განუდევნიათ ოსმალებს. მაშასადამე არც მოკავშირეთა იმედი უნდა ექონიონ სომხებმა ვიდრე საერთაშორისო საზავო კონგრესი მოხდებოდეს თუმცა ამ შემთხვევაშიც ვეჭვობთ ჩვენ, რომ მოკავშირენი რაიმე მალამოს დასდებენ სომხების წყლულებს.

ამავე დროს ამიერ-კავკასიის თურქ-თათრები დაუფარავად ამჟღავნებენ თვის ოსმალურ ორიენტაციას და თავისი ახლობელი მომავალიც საკმარისად გათვალისწინებული აქვთ.

ამნაირად ეხეთქება ერთი მეორეს ორი ერის ინტერესი. რეალური ძალის დაპირდაპირებაზე თურმე ... მეტია. სომხებმა უფრო ... უძლურობა გამოიჩინეს, ვინემ რეალური ძალა. არზრუმის დატოვება და სომხ. ჯარის უნიკოცხლობა ნათელზე ნათლად გვიმტკიცებს ამას. სომხების გენერლის ანდრონიკის უიმედობა უკანასკნელი სიტყვაა სომხის ლაშქრობისა ოსმალეთთან ბრძოლაში.

მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ანელებს არსებულ ეროვნულ ინტერესთა შეხლა შემოხლის სიმწვავეს. ის არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ ეროვნული კითხვა საბოლოო მოგვარებას არ ეღირსება ამიერ-კავკასიაში. რადა შორს წავიდეთ გადავხედოთ ამიერ-კავკასიის სარკისებრ სეიმს სხდომებს და მაშინ დავინახავთ ყველაფერს. ბრმებზე არას ვიტყვით: იმათთვის არც სარკე არსებობს და არც სარკის ობიექტი. თვალხილული კი, სულაც რომ მოკლებული იყოს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას ... საშინელ სინამდვილეს დაინახავს. ... ისტორიის წინაშე დანაშაული ექნებოდა სინამდვილის შიშით თვალზე ხელის აფარება. ნოე ჟორდანიამ არ დაფარა და სთქვა სეიმში, რომ ქართველთა მორიგება ყველა ერებთან იოლად შეიძლება, მაგრამ როგორ გნებავთ სომხებისა და თათრების ინტერესების ერთად შეხამება. ეს კითხვა კი დაისვა, მაგრამ პასუხი ჯერეც ვერ გვიპოვნია. ალბათ მომავალშიც სულ ამ პასუხის მოლოდინშიც ვიქნებით. დრო და გარემოება კი ასეთ მდგომარეობას ვერ ურიგდებოდა, მაგრამ სეიმი ვერ ახერხებს საქმის მოგვარებას. მისი არსებობის მეორე დიდი დანიშნულება ხომ ეროვნულ-ტერიტორიულად ამიერ-კავკასიის გადამიჯვნა იყო და თურმე იმდენად ამოწურულა სეიმში ყველა კითხვები, რომ ერთიერთი სხდომის დასასრულის შემდეგ ვერც კი გაიგეს, როდის შეიძლებოდა შემდეგი სხდომის გამართვა, რადგან ეს დამოკიდებული ყოფილა გასარჩევ კითხვათა დაგროვებისაგან ნუ თუ ეს სიმპტომატიურად უნდა ჩაითვალოს? ან შეიძლება სეიმს უშინია გადამიჯვნის კითხვის დასმა: სულ ერთია ამას ვერსად გაექცევა არა მარტო სეიმი, არამედ ყველა ერებიც. ეს აუცილებელია და ჩვენ რომ კომისიის ან კანცელარიის ლურჯი მაუდი გადავაფაროთ ამ კითხვას, სინამდვილე მაინც თავისას იზამს და მაუდს ახსნის.

ანარქია კი ძლიერდება და სახუმროდ არ იდგამს ფესვებს ჩვენს ცხოვრებაში. რა გასაკვირია, რომ მთავრობა ვერ სძლევდეს ამ ანარქიას. მას და მის მომხრე პარტიებს ჯერაც ვერ დაუსვამთ მართალი დიაგნოზი ამიერ-კავკასიის ცხოვრებისათვის პარტიული რეცეპტით ავადმყოფ სახელმწიფოს არ შინჯავენ, არც პირადი სურვილების საზომით. აქ ცხოვრებისა და სიცოცხლის საზომი არის საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც სნეული სხეული განიკურნება, რადგან თუ არ იცი,

---

წლიწადი პირველი. № 8.

# „ოჩერედი“.

„ბევრჯერ სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა“.

სალიტერატურო, საპოლიტიკო, საოხუნჯო, სამეცნიერო და საზოგადოთ ყოველგვარ დარგთა და მიმართულებათა გაზეთი.

გამოვა ყოველ დღე, როცა კი რედაქტორი მოიცლის, „ოჩერედში“ პურის და ხორცის, საკაზმ, სასმელ-ტანისამოსის და ფეხსაცმელის ყიდვის შემდეგ; ან და, როცა სასურსათო კომიტეტიდან დაბრუნდება და კაი გუნებაზე იქნება.

ფასი გაზეთისა ყველასათვის ხელსაყრელია. იგი „ჩვენი ქვეყნის“ ქვედა სართულის მდგმურია და ამ გაზეთს თუ ჰკითხულობთ, ყოველთვის შეგიძლიათ „ოჩერედის“ წაკითხვაც.

ქ. ქუთაისი.

(დასასრული იხ. „ჩვ. ქვ. № 45)

## ფელეტონი.

### კატა და ძაღლი.

(ესკიზი)

თბილი დილა იყო. გულკეთილი მზე უხვათ უგზავნიდა ქვეყანას თავის სითბოს გაჭირვებულთა ქოხებს თავისი სხივებით აშუქებდა და უშეშობის გამო ნაგრძნობ კვნესა-გოდებას უმსუბუქებდა.

მთელი სოფელი რაღაც საიდუმლო სიწყნარის, გამოურკვევლობას მთაენთქა.

ყველგან მწუხარება, გლოვა, გულსაკლავი კვნესა გოდება გამეფებულიყო.

ოჯახში ან სულ არავინ იყო და თუ იყო ახლათ დაბრუნებული ჯარის კაცები, რომლებიც აღარც ოჯახისათვის იყვნენ გამოსადეგარი და აღარც ჯარში ითვლებოდენ.

ქალები სამუშევრათ იყვნენ გასულნი და სოფელი ნამდვილ სასაფლაოს წარმოადგენდა.

მხოლოდ ერთ ეზოში, სოფლის განაპირა, მზის სხივებით გვერდებ გამთბარი, შიმშილისაგან დაქანცული, ბებერი მურია მოკვეცულიყო და რაღაც მოუსვენრათ კრუტუნებდა.

დრო გამოშვებით წამოიყეფდა ხოლმე და შემდეგ ისევ კრუტუნებდა...

მის პირ და პირ დაცუცქულიყო ვეებერთელა ჭრელი კატა და მოუთმენლათ მოელოდა მის გაღვიძებას.

— მიაუ!

ნაზათ დაიკნავა ციცუნიამ.

ძაღლმა არავითარი პასუხი არ მისცა.

— მიაუ!

კიდევ შეჰკივლა. ახლა კი უფრო მძლავრათ და ხმა მაღლა.

ძაღლმა ყურები სცქვიტა, თვალები გამოჰკვიტა და ზეზე წამოხტა.

— რა ამბავია? ვინ მეძახოდა?!

კატამ კუდი მაღლა შეპრიხა, აიფხორა და საომრათ მოემზადა.

— მე, მე გაგაღვიძე. რა არის ამდენი ძილი?

უპასუხა კატამ.

— დაღლილი ვარ! მთელი ღამე არ მიძინია.

ეზოს-გარემოს ვდარაჯობდი.

მერე? რა გინდა? რას მაღვიძებდი?

— რა და შენი ძველი ქურქი! რა უნდა მდომოდა შენგან?

მომწყინდა. მუსაიფი მინდა შენთან.

ხომ ჰხედავ! მთელი სოფელი რაღაც გამოურკვეველ ბურუსშია გახვეული.

შიმშილმა კუჭი გაგვიჭკნო. სოფელი გამოიფიტა, დაობლდა. მთლად გალატაკდა.

ნუ თუ ამ დროს ჩვენ მარტო ჩვენს საქმეებზე უნდა ვზრუნავდეთ, ვვაქრობდეთ?!

ნუ თუ ამ დროს ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუბღვერდეთ, მტრულად ვუყურებდეთ?!

წინეთ თუ ვიბრძოდით, ერთმანეთს სათოფეთ დავსდევდით — ამას თავისი მიზეზი ქონდა. აქ ხომ კუჭი იყო დამნაშავე და არა ჩვენ. კუჭს რომ მოშივდება იმან სიყვარული, სიბრალული და დათმობა აღარ იცის.

რასაც გიბრძანებს მისი მონა უნდა იყო.

ჩვენც ხომ ამ ნიადაგზე ვიბრძოდით?!

დღევანდელი ჩვენი ბატონ-პატრონებიც ხომ ამ ნიადაგზე წიწკნიან ერთმანეთს?!

ქლეტვენ, ანადგურებენ ყველაფერს?!

მაშ, რა დროის პირადული ანგარიშებია?..

რა დროის ცალკე მუშაობაა?!

მოდი შევრიგდეთ! ერთად ვიმუშაოთ.

ერთად ვიზრუნოთ სოფლის საკეთილდღეოთ, პატრონის ოჯახის დასაცველათ!

— ხა! ხა! ხა!

გულწრფელად გადიკისკისა ბებერმა მურიამ.

— რაო! რას იცინი? არ გჯერა ჩემი სიტყვები.

წყრომით შესძახა კატამ.

— რასაკვირველია არ მჯერა! ან რა დასაჯერებელია?

— ფსუუ!

აიფხორა კატა და გამოყარა გარეთ თავისი წვრილი, მაგრამ ბასრი კბილები.

— უზრდელო! რას ილანძღები?.. მე მაგის ღირსი არავარ! გიბრძანებ, ბოდიში, ბოდიში მოიხადოთ?!

— ხა! ხა! ხა!

კიდევ გულიანათ გაეცინა მურიას.

ბოდიში? თქვენს წინაშე? რატომ?

ნუ თუ ტყუილს ვამბობ?!

— რასაკვირველია!

— არა ციცუნია!

ჩვენს შორის მეგობრობა ძნელია:..

მიზეზი ჩვენის მტრობისა მარტო ეკონომიურ ნიადაგზე არ არის? აქ სხვა მიზეზებსაც ადგილი აქვს!..

— რას? აბა, მითხარი ერთი მაინც!

— რომელი ერთი ჩამოგითვალო?!

ეჰ! თავი დამანებე! შენ ცბიერი ხარ!
კაცი ვერ გენდობა!

ესეც კმარა! მეტი რაღა ჩამოგითვალო?!

შენ? შენ კი აბრაამის უმანკო ბატკანი ხარ, შენ ნუ მომიკვდები?!

რა ხარ?

მთელი დღე გდიხარ ძველ ტომარასავით და გძინავს?!

— მე? მე მძინავს?!

მაშ ღამე სახლს ვინ დარაჯობს? ეზოს გარს ვინ უტრიალებს, მტერს და მოყვარეს პასუხს ვინ აძლევს?!

— მერე? ვისთვის დარაჯობ? ვის უნახავ ამ გაჭირვებულ ოჯახს?

მტერს და მოყვარეს?

— შენთვის ხომ მტერი და მოყვარე ერთია. ოღონდ გაძღე და სხვას არ დაეძებ! გდიხარ თბილ ოთახში და გარეთაც არ განიღიხარ, ფეხის დასვრა გეზარება.

ჩემთვის კი ჩემი პატრონის ოჯახი, მისი არე-მარე ყველაფერია!

აქ დავიბადე აქ გავიზარდე და აქვე უნდა ჩავიდე საფლავსაც.

საუკეთესო დღენი ჩემის ცხოვრებისა აქ გამიტარებია და სანამ პირში სული მედგმის ჩემს პატრონს არ ვუღალატებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გტკივა, ვერც მოარჩენ ტკივილებს. ყველა თავისებურ დიაგნოზსა სვამს, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოუფიქრებია მკურნალთა კონსილიუმი მოიწვიოს. სეიმს უნდა ეთამაშნა ასეთი როლი, მაგრამ როგორც ვხედავთ სეიმი ჯერჯერობით სდუმს ამის შესახებ. თავის მშრალ ნიადაგზე აპირებს ახალი და ცხოველი ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ მშრალ ნიადაგზე ჯერ მცენარეს არ გაუხარებია და თუ ღირსებია თავის ამოყოფა, სასიცოცხლო წვენი დაკლებია, რის შემდეგ ნიადაგზევე მიმხმარა. ვაი თუ ასეთი ბედი ეწიოს მომავალ ამიერ-კავკასიის მთავრობასაც, მით უმეტეს პარტიულ პრინციპზე აღმოცენებულს?

ამავე დროს კი დარაზმული და ორგანიზაციულად შეკრული ერები არ სტყუვდებიან და თავის ბედს და არსებობას პარტიული ექსპერიმენტების საჯიჯგნად არ ხდიან. ჩვენს მთავრობას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ეროვნული საბჭოების ავტორიტეტი ძალას უკარგავს ამიერ-კავკასიის კომისარიატსო ეს სეიმშიც ითქვა და მაშასადამე სინამდვილეც ყოფილა. ეს ორი ინსტიტუტები: ნაციონალური და ინტერნაციონალური—აგერ ერთი ხანია იბრძვიან და სეიმის სხდომები აშკარავებენ, რომ ამათი შერიგება მოუხერხებელია. ამიერ-კავკასიური ინტერნაციონალი მეტად სუსტი წლისა ყოფილა და სტყდება კიდეც ნაციონალურის სიმძიმის ქვეშ. სასწაული არ ხდება ცხოვრებაში და გინდ ახალ-ახალი სიცოცხლის ელექსირები არ მოიგონონ ამ ელექსირების სიძლიერე მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე თუ დარჩება რეკლამის სახით.

გზა ერთი დარჩა: ერებს უნდა მიეცესთ სრული სუვერენული უფლებები, რაც სრულიადაც არ გულისხმობს ურთიერთ შორის მოურიგებლობას. ყველა თავის კანში იქნება ჩატეული და ეცოდინება თავისი მოქმედების ფარგლები და სიცოცხლის გასაქანი.

ი. ხ.

# ერობის არჩევნებისათვის.

ერობამ ძირიან ფესვთანად უნდა შესცვალოს დღევანდელი ადგილობრივი მმართველობა. საერობო ორგანოებს დაეკისრება ყველა ის მოვალეობანი რაც ამ ჟამად საგუბერნიო, სამაზრო და რაიონულ სამაზრო ორგანოებს აქვთ დაკისრებული.

ერობა იყოფა სამ უმთავრეს ნაწილად. საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო; საგუბერნიო საერობო მმართველობის შემოღების დროს გაუქმებულ იქმნება საგუბერნიო კომისარიატი, ანუ ძველი საგუბერნატორო და მის მაგივრად დაარსდება საგუბერნიო საერობო მმართველობა, ხალხის არჩეულ პირთა მიერ წარმოდგენილი.

ჯერჯერობით ჩვენში მოხდება სამაზრო და სარაიონო საერობო არჩევნები.

ერობა ძვირფასი საგანძურია ხალხისთვის. იგი ხალხის ჭირვარამის ნამდვილი მზრუნველი და წინამძღოლი არის. ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ ადგილობრივ მმართველობის კმაყოფილი არ არის ფართე მასა. ეს ერთი იმით აიხსნება, რომ სტიქიურ დროში ძნელია ხალხის გულის მოგება და მეორე უმთავრესად კი იმით, რომ აწინდელი ადგილობრივი გამგებლობა გარდა იმისა რომ რევოლუციური სახელი ეწოდა მას, იგი სამწუხაროდ არავითარ შემოქმედების ნიშან წყალს არ იჩენს. მაზრებში დღეს უმაგალითო უწესრიგობა და უყურადღებობაა.

ავიღოთ მიწის კითხვა. ერთი წუთით ვსთქვათ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკრეტი, როგორც უმაღლეს გამგებლობისა ავია იგი თუ კარგი, სისრულეში უნდა იქმნას მოყვანილი. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ სოფლებში! მიწის რეფორმა გამხდარა ისეთ პირთა სათამაშოდ რომელთაც სოფელი ყოველთვის უნდობლად უყურებდა და მასთან კავშირს ერიდებოდა. ერთ სოფელში მიწას ართმევენ, მეორე სოფელში არა, ერთ სოფელში იჯარას სპობენ, ნამყენ ნაშენ ეზოს ეხებიან, დაქირავებულ შრომას აუქმებენ, მეორე სოფელში ამის მსგავსი არაფერი ხდება.

ქვრივ ობლებს სასოფლო სამეურნეო მამულო კომისრები დამშეულს სტოვებენ, მაგრამ არის იმის მაგალითიც, რომ თუ კაცი მარჯვედ დაუხვდა შინ და თოფი აჩვენა, ხსენებული კომისრები კურდღლებსავით გარბიან. როგორი კანონის განხორციელებაა ეს. უძლურს თავში ასხდებიან, ძლიერს ვერ ეკარებიან. გარდა ამისა, ვინ არ იცის თუ რა მითქმა მოთქმაა დღეს სოფლებში.. აქ მომხმარებელ საზოგადოებათა ფული გაიფლანგა, იქ გადასახადი უკანონოდ შეიკრიბა, სარწმუნოება შეურაცხყვეს და სხვა ათასი. შეიძლება გაურკვეველმა ხმებს სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ იგი მთავრობას სახელს უტეხს, და მეტად მავნებელია თვითონ ხალხის ინტერესებისათვის.

ჩვენი და ყველას სურვილი ის იქნება უთუოდ, რომ ერობის დროს ზემოთ მოყვანილ ლიმიტურ მოვლენათ ადგილი არ ჰქონდეს ქართულ ცხოვრებაში. მაშასადამე ეს კითხვა პრინციპიული არ არის და ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს იგი ტექნიკურად, ე. ი. რა ორი უნდა განხორციელდეს საქმით. ამაზე შემდეგ.

ი. ჯიხაიშვილი.

# ბათუმის ამბები.

ბათომში გაცხარებული მუშაობაა. ამაგრებენ ქალაქსა და ოლქს. მრავლად ჩამოდიან ჯარის-კაცები და მოხალისენი. ჯარის-კაცები უმთავრესად ოზურგეთის მაზრიდან მოდიან.

ლაშქარში სრული დისციპლინაა. ზოგიერთმა როტებმა გამოიტანეს დადგენილება, რომლითაც წინააღმდეგნი არიან სალაშქრო კომიტეტების შედგენისა.

ქალაქი სამხედრო ბანაკს მოაგვაგონებს ამ დღეებში ბათომში საყოველთაო შეიარაღებას გამოაცხადებენ. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, ქალაქიდან უნდა წავიდეს.

მცხოვრებნი ერთსულოვნად ემზადებიან თავდაცვისათვის. ვაჭართა შორის ფულს ჰკრეფენ. რევოლუციურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მთელს მომიჯნავე რაიონში საალყო წესებია გამოცხადებული. დაწესებულებებს გამოსახიზნავად ორი კვირის ვადა მიეცა.

თუ სამხედრო მოქმედება, დაიწყება ოლქის კომენდანტად ლიახოვი დაინიშნება.

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**ლეჩხუმის ამბების გარშემო.** ევგენი გეგეჭკორმა განმარტებები მოსთხოვა ქუთაისის საგუბერნიო კომისარს ივ. კაჩუხაშვილს ლეჩხუმში მომხდარ ამბების შესახებ.

✦ **მთავრობის შედგენის გარშემო.** განზრახულია სამინისტრო პორტფელების ამ სახით დანაწილება. **ევგ. გეგეჭკორი** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო მინისტრად, **კ. წერეთელი** ან **აკაკი ჩხენკელი** — საგარეო საქმეთა მინისტრად, **ხან ხოისკი** — იუსტიციის მინისტრად, **ნ. რამიშვილი** — შინაგან საქმეთა მინისტრად, **ვლ. გობეჩია** — საზღვაო მინისტრად.

✦ **სამხედრო ხარისხის აწევა.** სამხედრო და საზღვაო სამინისტროს კომისარის ვლ. გობეჩიას ბრძანებით აყვანილ არიან შემდეგ ხარისხში: პოლკ. მუსხელიშვილი ღენერ.-მაიორად, პოდპოლ. კოვალოვი პოლკოვნიკად, ლეიტენანტები ქავჭავაძე მეორე რანგის კაპიტანად და სამხრეთ სანაპიროთა სამხედრო ფლოტის უფროსად.

✦ **სოხუმის დელეგაციისაგან** ცნობა არ მოსულა.

✦ **სარიყამიშის ალების** ამბავი არ გამართლდა.

✦ **ყარიშში** გერმანელები შევიდნენ; ჩაკოვი აღებულია.

✦ **კონფისკაცია.** სეიმმა დაადგინა ბორჯომის ქონებისა და ინვენტარის სრული კონფისკაცია.

✦ **მცხეთის დღესასწაული.** 11 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის გამოცხადების წლის თავის გამო მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში შესრულდება წირვა-ლოცვა მღვდელ-მთავრის მიერ.

✦ **მირონის შემზადება.** კათალიკოსის საბჭომ დაადგინა მირონის შემზადება მოხდეს ძველი წესის თანახმად დიდ ხუთშაბათს.

✦ **ტყვეულობის შემზადება.** სპარსელი ვაჭრები, შეუმდგომლობენ, ნება მოგვეცით ჯულფიდან თბილისში ტყვეულობის შემოზიდვისო.

✦ **შაუმიანის შესახებ.** როგორც „სახ. საქ." იტყობინება, აგეგმა სეიმში გამოამჟღავნა დაშნაკელ არზუმანოვის კავშირი შაუმიანთან.

✦ **ზეკარის ულელტეხილის დაცვა.** ბაღდადიდან შამოვიდენ ზეკარის საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთმაც გუბერნიის კომისარს მიმართეს, რომ ის ახალგაზდები, რომელნიც გაწვეული უნდა იქმნენ ზეკარის მიდამოებიდან დასტოვონ ადგილობრივ და მათ გასაწვრთნელად გაგზავნილ იქმნეს ინსტრუქტორები და საკმაო თოფები. იმათ განზრახული აქვთ, რომ მედგრად დაიცვავან ზეკარის ულელტეხილი, რათა ამით ბაღდათის რაიონი თათართა შემოსევისაგან დაიხსნან.

✦ **დახმარება ლ. დადეშქელიანის ოჯახს.** ამიერ კავკასიის კომისარიატის განკარგულებით ლევან დადიშქელიანის ოჯახს დახმარებათ მიეცა 5000 მანეთი.

✦ **ფართლეულობის რეკვიზიცია** გუშინ 9 მარტს ე. ბოთერაშვილის სავაჭროში აღმოაჩინეს რამდენიმე თოფი ფართლეულობა, რომელსაც რეკვიზიცია უყვეს და გადასცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს.

✦ **კრედიტი.** ჭიათურის რაიონის კომისარი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის კომისარს გაუხსნას მას კრედიტი რაიონში მობილიზაციის მოსაგვარებლად.

✦ **მობილიზაციის გამო.** გუბერნიის კომისარი საზოგადოების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ვიღაცეები ხალხში პროვოკაციას ავრცელებენ ვითომც ბათუმში გაგზავნილ ჯარს არც პური ეშოვებათ და არც სხვა სანოვაგე, რაც სიმართლეს მოკლებულია. ბათუმში ყოველივე სანოვაგე იშოვება და ის პირები ვინც ასეთ პროვოკაციას ეწევიან სასტიკად დაისჯებიან.

✦ **საერობო ინსტრუქტორების დანიშვნა** ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების საქმის მთავარი ინსტრუქტორი ბ. თევზაია სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ყველა

---

— აკი გითხარი შენ ადამიანის მონა ხარ და მონათვე დარჩები მეთქი?!

ამ გვარ მდგომარეობას შენ ერთგულებას ეძახი.

მერე? ღირს ადამიანის ერთგულება?!

ღირს მისთვის თავის განწირვა?

არა. არ ღირს.

ბოლოს ადამიანი ყველაფერ სიკეთეს ივიწყებს, შენს ამაგს, ერთგულებას ყველაფერს სპობს, წყალში ჰყრის.

ხარებს, ძროხებს და კამეჩებს ხომ ჰხედავ?! განა ცოტა სამსახური და თავგანწირული შრომა მიუძღვის მათ ადამიანის წინაშე?!

მერე? როგორ აფასებს ადამიანი მათ თავგანწირულებას?

დაბერდება თუ არა, შრომით დაკორძილ კისერზედ ბასრ დანას დაადებს და გემრიელ ლუკმათ აქცევს.

შენი ხორცი რომ იჭმებოდეს, გგონია აქამდის არ შეგჭამდა?!

დღემდისაც არ იქნები ცოცხალი, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ შენი ხორცი ცოტა მომჟავოა, თურმე, ადამიანის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებს.

აი, რა გშველის? მისი მადლობელი უნდა იყო.

-- ამშ!

უცებ შეუყეფა ბრაზმორეულმა მურიამ და კატისაკენ გაექანა.

კატა სწრაფად ხის წვეროს მოევლო და იქიდან ცბიერად გადმოხედა.

— მოლაქლაქე თაღლითო, ადამიანის ორგულო! არ მომასვენებ?

დღე და ღამ ადამიანის ლალატს ჩამჩიჩინებ, მის თავს მ ძულებ?!

მოიცა, ეს ომიც გათავდება. რასაც დასაწყისი აქვს იმას დასასრულიც ექნება. მოვა ჩვენი პატრონი. გაცოცხლდება სოფელი. მოიკრებს ძალას ხალხი, თვალებს გაახელს და თავის მტერმოყვარეს გაარჩევს.

მაშინ ვნახოთ, რანაირათ მოგიწყობ საქმეს!

-- საცოდავო! ეგებ მაგის იმედი გაქვს?

სანამ ჩვენი პატრონები დაბრუნდებოდენ, შენ ხომ შიმშილისაგან სული გაგძვრება, ვილას მოუწყობ საქმეს?!

მერე? შენ გგონია მე აქ მოგიცდი?

შენსავით მოვიკლავ შიმშილით თავს?

არა. მე დღესვე ვტოვებ ამ სოფელს.

სხვაგან მივდივარ. სადაც გავძღები ჩემი სამშობლოც იქ იქნება. სულსაც იმას მივაბარებ და ხორცსაც.

შენ კი აქ, აქ ეგდე და უცადე შენი პატრონის დაბრუნებას.

გიხაროდეს! ადრე მოგივა!!

ამშ! ამშ!

შეჰყვირა ქვეშიდან მურამ და ფეხებით ხეზე აეტოტინა.

- ფხუ! ფხუ!

ჩამოსძახა ზევიდან კატამ და მადიანათ გადაიკისკისა.

— შე უგნურო რა უნდა მიქნა?

მე ცაში ვარ, შენ კი მიწაზე.

— სულ მანდ იქნები?!

— მაშ, ძირს რა მინდა?

სხვა და სხვა საჭმელების სუნმა არ მომხიბლოს, არ გამაბრიყვოს?!

— ძირს არ ჩამოხვალ?

- ჩამოვალ!

-- როდის?!

— როცა მომესურვება.

-- საიდან ჩამოხვალ? მე დღე და ღამ აქ, ამ ხის ძირში ვიქნები. აქ დავალამებ და აქვე გავათენებ.

— როცა დაგეძინება. ზურგზე დაგახტები და თავში ჩაგაფარებ.

— მაშ ვნახოთ!

წყრომით უთხრა ძაღლმა და ხის ძირში მოიკვერა.

ღამდებოდა...

მზე დასავლეთის მზის ტალღობში მკრთალ ვარდისფერ სხივებს აჩვენდა, რიგ-რიგათ ალაგებდა.

სხივი სხივს უერთდებოდა, ალერსით ყელზე ეხვეოდა და შორს, სადღაც უფსკრულში, დასასვენებლათ ეჩქარებოდა...

კატა კი ხის წვეროზე წამოყუნტულიყო და იქიდან ამ სურათით სტკბებოდა.

ძაღლი, თუმც ნიადაგ ხის ძირში იყო და კატას ალარა ჯეროდა, მაგრამ ხან უნებლიეთ მიეძინებოდა და ხან კი ყეფდა, ოჯახს დარაჯობდა...

შუაღამე გადასული იქნებოდა.

ერთ დროს წყალსაც კი დაეძინებაო, ამბობს ხალხი.

ჩვენ მურიასაც მიეძინა.. შესწყვიტა ყეფა-კივილი.

კატამ ამ სიწყნარით ისარგებლა. ზევიდან მოპარვით ძირს ჩამოეშვა, ცალი ფეხი მძინარე მურიას დაჰკრა და ეზოს მაღალ ღობეს თავზე მოევლო.

— ამშ! ამშ!

უცებ შეუყეფა მურამ და კატას გამოეკიდა, მაგრამ გვიანღა იყო.

კატამ ეზოები სწრაფად გადირბინა და სადღაც მიიმალა.

ძაღლი კი დღესაც თავის პატრონის ოჯახს უტრიალებს და თავზე ევლება...

რედაქტორ-გამომცემელი

თეოფილე ხუ' კივაძე.

მაზრებისათვის ცალ ცალკე დანიშნოს თითო ინსტრუქტორი, რომელნიც მაზრებში ერობის შემოღებას ხელმძღვანელობას გაუწევენ. კანდიდატების სია უნდა გაგზავნილ იქმნას მთავარ ინსტრუქტორთან. სამაზრო ინსტრუქტორებს თვიურათ ჯამაგირი ექმნებათ 350 მანეთი.

✦ **მილიციელთა გაფიცვა.** ლანჩხუთის რაიონის კომისარი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ სამი თვის ლოდინის შემდეგ ჯამაგირების მიუღებლობის გამო მილიციელები გაიფიცნენ. მთელი რაიონი უმილიციოდ რჩება.

✦ **სურსათის განაწილების შესახებ.** ამიერ-კავკასიის მთავრობის სასურსათო საქმეთა კომისარი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ მიღებული სურსათი პროვინციებს შორის ყოველთვის თანასწორად გაანაწილოს რომ, რომელიმე რაიონმა პრეტენზია არ განაცხადოს.

✦ **შტატის შემოკლება.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილებით საგუბერნიო სასურსათო სამმართველოდან დაითხოვეს 15 მოსამსახურე.

✦ **ბუდუ მდივანის დაპატიმრება.** გუშინ, 9 მარტს, სადგურ აბაშაში დაუპატიმრებიათ ბუდუ მდივანი და ა. გეგეჭკორი, რომელნიც პროპაგანდას ეწეოდენ მობილიზაციის წინაღმდეგ.

✦ **პროფესორ კოლლის მოკვლა.** ბოლშევიკებს როსტოვში მოუკლავთ ცნობილი პროფესორი ვარშავის უნივერსიტეტისა ფიზიკოსი კოლლი.

✦ **სათნოების დათა და სანიტართა კურსები.** ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიონალური კავშირი 11 მარტიდან კლასიკური გიმნაზიის შენობაში ხსნის სათნოების დების და სანიტართა კურსებს. ლექციების კითხვა დაიწყება 12 მარტიდან საღამოს 7 საათიდამ.

## უცხოეთის ამბავი.

ჟურნალ „Вѣстник финансов“-ში მოყვანილია ცნობა რუსეთის ვალის შესახებ. ამის მიხედვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ვალი 1914 წელს —8.825,4 მილ. მან. 1915 წელს-10,488,5 მილ. მანეთს 1916 წელს —18.876.7 მილ. მანეთ. 1917 წ. —63.580.8 მილ. მან და 1918 წელს—50.600.0 მილ. მან.

—

იმპერატორი ვილჰელმმა შემდეგი დეპეში დაიჭირა, რომელიც იმპერიის მიმართ გაიგზავნა: გერმანულმა ხმალმა დიდებულ სარდალთა ხელში რუსეთთან ზავამდის მიგვიყვანა. ღრმა მადლობას ვსწირავ ჩვენს დამხმარე უფალს და ამაყურ სიხარულსა ვგრძნობ ჩემი ჯარის მოქმედებისა და ჩემი ხალხის გამტანობის გამო. გერმანული ხალხისა და გერმანული კულტურის გადარჩენა საგანგებოდ მაკმაყოფილებს. თქვენც მიიღეთ ჩემი მხურვალე მადლობა უდიდეს საქმეებში მონაწილეობის გამო.

—

პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ სამხედრო პირების გადმოცემით, გერმანელები რომ პეტერბურგში არ შესულიყვნენ, ბოლშევიკები 5 წლიწადს მაინც კიდევ იბატონებდენ რუსეთში.

—

კრილენკოს მაგივრად რუსულ ჯარების მთავარ სარდლად დაინიშნა შტაბის ყოფილი უფროსი ბონჩ-ბრუევიჩი.

—

გერმანელებმა საბოლოოდ მოსპეს პეტერბურგში და დაპყრობილ ადგილებში ინტელიგენციის დევნა და აბუჩად აგდება ბრბოს მიერ, რის შემდეგ ბოლშევიკებმაც შეიცვალეს ინტელიგენტებისადმი დამოკიდებულება. მათ სამსახურსაც კი აძლევენ დაწესებულებებში.

—

ცალკე ცენტრალ უწყებათა კომისარმა სმოლნიში წარადგინა სხვადასხვა სამინისტროების ბიუჯეტი 1918 წლისათვის, რომლიდანაც გამოირკვა, რომ რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკების ბიუჯეტის დეფიციტი 23 მილიარდ მანეთამდის აღწევს. შემოსავალი 5 მილიარდს უდრის, ხოლო გასავალი 28 მილიარდს.

—

პარიზის დიპლომატიურ წრეებში ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ გერტლინგისა და ჩერნინის განზრახვაზე. ვითომც მათ ჰსურთ სეპარატიული მოლაპარაკება აწარმოვონ ინგლისსა და შეერთებულ შტატებთან.

—

გერმანელ აგენტებმა კიევის, პოდოლის და ვოლინის გუბერნიებში იყიდეს 12 მილიონი ფუთი სხვადასხვა გვარი ხორბლეულობა, და 2 მილიონი ფუთი რკინა და შაქრის ფხვნილი.

## ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან.

**ყარაურლანის აღება.**

6 მარტს, საღამოთი ოსმალებმა დაიპყრეს ყარაურლანი, რომელიც ჩვენ ჯარს უკან დახევისას დაუწვავს.

**სომხების ბრძოლა დეზერტირობასთან.**

სომხეთა ეროვნული საბჭო განაგრძობს დეზერტირების დევნას. მან უკვე გააგზავნა ფრონტზე რამოდენიმე ასი კაცი.

**ლტოლვილები.**

არზრუმის რაიონიდან სარაყამიშში 10,000 ლტოლვილი ჩავიდა.

**რუსული ეროვნული ყრილობა.**

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ ყრილობის არჩევნებმა უსიცოცხლოდ ჩაიარა. ენტუზიაზმი რუსებს არ ეტყობოდათ. აგიტაციაც მიდუნებული იყო. მუშებ სექტანტებს ეტყობოდათ, რომ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდენ. ჯერჯერობით გამოირკვა, რომ თფილისს 16 რაიონში მიუღია მონაწილეობა 3616 კაცს, ამათგან სოციალისტურ სიას მისცა ხმა 907 კაცმა, კადეტებისას - 997, „რუსულ კულტურის“ სიას --449, შეერთებულ კომისიისას - 1262.

**სომხების ბრძოლა დეზერტიროზასთან.**

სომხეთა ეროვნულ საბჭოსთან არსებული დეზერტიროზასთან მებრძოლი საგანგებო კომიტეტი ენერგიულ ზომებს იღებს, რათა დაიჭიროს დეზერტირი სომხები და სამხედრო პუნქტებზე წარუდგინოს. 4 და 5 მარტს ხსენებულმა კომიტეტმა მასსიური „ობლავები“ მოახდინა და მრავალი დეზერტირი დაიჭირა.

**ინტერნაციონალური სოციალისტური რაზმი.**

„ერთობის„, „ფაიქარ“-ის, „ბორბა“-სა „ზნამია ტრუდა“-ს რედაქციებში ხდება ჩაწერა ინტერნაციონალურ სოციალისტურ რაზმში.

**4 კოლონისტის მოკვლა.**

სოფელ თაპან-გასანლის გერმანელი კოლონისტებს ბაღში მუშაობის დროს თათრები დაეცენ და 4 კოლონისტი მოჰკლეს.

**8 ათასი ყალბი ბონა.**

აჯიყაბულში გალიციელებმა საფოსტო მატარებელი № 4 გასჩხრიკეს და აღმოაჩინეს 8 ათასი მან. ღირებული ყალბი 10 შაურიანი ბონები. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს. ბონები მყისვე დასწვეს.

## ლებედინსკის ბრძანება.

მთავარ-სარდალმა გენერალ მაიორ ლებედინსკიმ გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: მას ატყობინებენ, რომ აფიცრები სამაგალითოდ მოქმედებენ—თბილისში შესდგა პოდპოლკოვნიკ ეფრემოვის რაზმი, რომელიც განსაკუთრებით აფიცრებისაგან შესდგება. ეს რაზმი უკვე გავიდა ფრონტზე სარაყამიშისაკენ. ესეთი რაზმი ბათუმშიაც არის პოდპოლკოვნიკ დავით კლდიაშვილის მეთაურობით. რაზმი უკვე მოქმედებს მოწინავე პოზიციებზე მეტის მეტ მძიმე პირობებში.

გულითად მადლობას ვწირავ სამაგალითო სამსახურისათვის მამაც აფიცრებს, რომელნიც, მიუხედავად ყოველისე დამცირებისა და შეურაცხყოფისა უკანასკნელ ხანს ამ მძიმე მომენტში უდიდეს საფრთხის შეგნებით მათ შესძლეს, თვსის პირად ინტერესების დათრგუნვა და ისევ შეუდგნენ სამშობლოს სამსახურს.

ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სამშობლო დააფასებს თავის ერთგულ შვილების თავგანწირვას და შესძლებს მათი ღვაწლის სათანადოდ დაფასებას.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, პოდპოლკოვნიკ ეფრემოვის და პოდპოლკოვნიკ დ. კლდიაშვილის აფიცრებო დეე, თქვენმა ღვაწლმა აღმოაჩინოს თქვენი ღირსი მიმდევარნი.

## კორესპონდენცია.

**ფოთის ამბები.**

5 მარტს ქ. ფოთში საზოგადოებას დიდი აღელვება ეტყობოდა. ელოდნენ ბოლშევიკ-მეზღვაურთ წვევას და მათ მიერ ქალაქის დარბევას. ხმები იყო, თითქოს იმათ მოსთხოვეს ქალაქს 300000 მან., იმის გამო, რომ ჯამაგირი არ მიუღიათ. ამბობდენ აგრეთვე, რომ მეზღვაურებმა შესთავაზეს ქალაქს ზარბაზნები და ორი პატარა გემი ნაცვლად 300,000 მან. ასეა თუ ისე ბათომიდან ცნობა მოვიდა რომ იქიდან გამოიქცა ორი „გამანადგურებელი“ სამხედრო გემი და ავალებდენ ფოთის ჯარს უსათუოდ აეყარა იარაღი მეზღვაურთათვის და გემები, დაეტყვევებინა.

5 მარტს ღამით ფოთი მოელოდა ზარბაძანთა გრიალს 1914 წლის 25 ოკტომბერის განმეორებას, როდესაც ოსმალთა კრეისერმა ფოთს ზარბაზნები დაუშინა. მაგრამ ქართველ ოფიცერთა მანაცობამ და წითელი გვარდიის დახმარებამ გადაარჩინა ფოთი ხიფათს. ღამით მოულოდნელად ისინი თავს დაესხნენ მეზღვაურებს, წაართვეს იარაღი და „გამანადგურებლები“ და დაატყვევებს. ბათუმშიც ყოლიათ ქართველებს სამხედრო გემები. ამრიგად საფუძველი ეყრება ქართულ ფლოტს.

ილიკო.

## პასუხი.

**ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.**

(გაგრძელება იხ. „ჩვენი ქვეყანა“ № 45)

ეს ერთი. მეორე თქვენ ამბობთ: „კავშირის სიაში იყვენ ისეთებიც, რომელნიც არ მსახურებდენ და არც აპირებდენ მომავალ სეზონში სადმე სამსახურს (მაგ. ცაცა ამირაჯიბი და სხვ.)“

ვერც ეს არის სიმართლე, რადგან ცაცა ამირაჯიბი პირველ ხანებში თბილისის დასში იყო ჩარიცხული მისივე თანხმობით (მაშინ კავშირის წევრი არ იყო) და თუ ალარ უმსახურნია, ეს სულ სხვა მიზეზებით.

შემდეგ ბრძანებთ: „იყვენ ისეთებიც, რომელნიც კავშირის წევრად არ ჩაწერილიყვნენ და არც აპირებდენ ჩაწერას და სხვ. (მაგ. ნ. ჩხეიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, მ ქორელი და სხვ.)“

ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: ნ. ჩხეიძე მართალია კავშირის დაარსებისას მხოლოდ მოსალოც დეპეშით გამოგვეხმაურა და სწუხდა რომ ჩვენ შორის არ იყო, შემდეგ კი არ გამოუთქვამს სურვილი კავშირის წევრობისა, მაგრამ ნუ თუ როგორც ყოველ ანტრეპრენიორს ისე კავშირსაც, როდესაც სეზონის წარმოება უნდა არ შეეძლიან იგულის არა წევრი არტისტიც მის დასში მომუშავეთ, ამიტომაც კავშირის საბჭოს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ნ. ჩხეიძეც მათთან იმსახურებდა

ესევე ითქმის ალ. ყალაბეგიშვილზე, მაგრამ იგი 1917 წ. მარიამობისთვის 12 სხვათა შორის იმასაც იწერება, რომ „შემდეგისთვის სადაც გენებოთ იქ გამამწესეთ და ამ ხელად გთხოვთ მომიხერხოთ და ქუთაისში დამტოვოთო.“ მაშასადამე ყალაბეგიშვილი თუმც წევრი არ არის კავშირისა მაგრამ მისი ერთგვარი რიდი და მოკრძალება აქვს ეტყობა და საბჭოსაც შეეძლო მისი, ყალაბეგიშვილის იმედი დაეკავებინა, თუმცა, როგორც ხედავთ წინასწარ მიწერ-მოწერაც ჰქონდა მასთან.

რაც შეეხება ბ. მ. ქორელს, კავშირის საბჭოს ჯერ-ჯერობით კიდევ თავისი წევრი ჰგონია, რადგან ჩვენს წესდებაზე დაარსების დროს, როგორც დამფუძნებელ წევრს, უწერია ხელი და სხვ ფულება არა გვაქვს, ვკე თუ ყველა თავის ხვედრს პროც ს შემოიტანს საზოგადო კრებამდე, ჩვენ წევრათ არ ვიგულოთ. მაშასადამე, ზაფხულში მაინც, კიდევ უფრო მეტი უფლება გვქონდა ჩვენათ გვეგულა და სამსახურში გაგვეწესებია.

ასე რომ, როგორც მკითხველი დაინახავს, გამგეობა ამ ფაქტების მოყვანაში შემცდარ შეხედულებას ასაღებს, ან შეიძლება აქაც მისი ყურადღება „სხვა რამემ მიიქცია.“

დასასრულ თქვენ ისევ ათას დამეერთჯერ იმეორებთ იმ მუდმივ მუნათს დრ. საზოგადოებებისას რომ თქვენ მუდამ პატივსა სცემდით ქართველ მსახიობს და მუდამ მათი დამხმარე იყავით... რა საჭიროა ძველი ამბების გახსენება, თორემ, რა ბევრი ითქმის ჩვენებურ დრამატ. საზოგადოებებზე საერთოდ და კერძოთ ქუთაისისაზედაც

ეხლა ამისი დრო არ არის. ამაზე თქმულა და უთუოდ ითქმება კიდევ თავის დროზე. მხოლოდ გავიხსენოთ ის რომ თუ მსახიობს დრ. საზ-ს ვალი გაჰყოლია სამაგიეროთ ბევრი უძაგძაგნია სეზ-ნების დროს დრ. საზ ს ხაზინადრის ძებნაში ზოგჯერ 5 მ. ასაღებადაც კი და ზოგჯერ თვით ფულიც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიუღია, მსახიობის, ისე ყოფილა დრ. საზ-ს ბუჰგალტერია წარმოებული.

მგონი დიდი აზრის საზოგადოთ დრ. საზ ზე თვით ეხლანდელი თავმჯდომარეც ქუთ დრ. საზ-სა არა ბრძანდებოდა ამ რამოდენიმე წლის წინათ, მაგრამ ეტყობა ეხლა „სხვა რამემ მიაქცია მისი ყურადღებაც. ჩვენ მსახიობნი კი ისევ იმ აზრს ვადგევართ: დეე, ძველი წესი დრ. საზ-სა გაჰყვეს ძველ რეჟიმს და ჩვენ გვაცალეთ ჩვენს საკუთარ ფეხზე დგომა და თავის თავის გაძღოლა. მეყოფა ამდენი მუნათი და ამდენი „აპეკუნობა.“

მაინც და მაინც ამ წერილით პრესის საშვალებით ვსპობთ ყოველგვარ კამათს ქუთ. დრ. საზ. გამგეობასთან როგორი პასუხიც არ უნდა გაგვცენ მათ და სამართალში კი, ვიმეორებთ, ეხლაც მზათა ვართ გავყვეთ წინაშე ეროვნულ საბჭოს ხელოვნების სექციისა.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭოს მონდობილებით თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი

**შალვა დადიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

## მატარებლების მიმოსვლა.

15 იანვრიდან 1918 წ.

ნაჩვენებია ადგილობრივი ახალი დრო.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 5 ს. 50 | წ. |
| „ | — საღამ. — | 9 ს. 50 | „ |
| ბათომიდან და თბილისიდან | | | |
| | დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 10 | „ |
| „ | — დღის — | 12 ს. 55 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ და ბათომისაკენ | | | |
| | დილის | 8 ს. 40 | წ. |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | - დღისით | 1 ს. 40 | „ |
| ,, | — საღამოს — | 7 ს. 1 | ,, |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| თბილისისაკენ პირდაპირ | საღამოს | 10 ს. | |
| ტყიბულს | — დღისით — | 2 ს. 37 | „ |

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელ...ის სახლი, ქუთაისში